ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/06

დაბა ქედა, **20 მაისი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:20 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 16.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე-ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე- ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე- ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ჯემალ დავითაძე-საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი-საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე-საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

20 მაისი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 მაისის №01-06/06 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 მაისის №01-06/06 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგი.

1. მოისმინეს: სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95221312-95, 11.05.2022 წელი) და განმარტა, რომ მოძიებულ იქნა კონკრეტული საოფისე ფართი მისამართზე: ქედაში, 26 მაისის ქუჩა #1 [დავით

აღმაშენებლის ქუჩა #16 ა], საკადასტრო კოდი: 21.03.35.021.01.500, მე-2 სართული, 32,5 კვ.მ. საოფისე ფართი შერჩეულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ სანოტარო ბიურო მუნიციპალიტეტში განთავსდეს საზოგადოებისათვის სტრატეგიულად ხელმისაწვდომ ადგილზე. ამასთან, სანოტარო ბიურო უნდა აკმაყოფილდებდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, აღნიშნული ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-4 1 პუნქტის მოთხოვნათა თანახმად, „4 1 . სანოტარო ბიურო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) სანოტარო ბიურო ან მისი ნაწილი არ უნდა მდებარეობდეს ნულოვანი ნიშნულის ქვევით; ბ) სანოტარო ბიურო ან მისი ნაწილი არ უნდა მდებარეობდეს შენობაში, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის ვარგისად აღიარებული ექსპლუატაციაში მიღებისთვის, გარდა იმ შენობისა, რომელიც, კანონმდებლობის შესაბამისად, არ ექვემდებარება ექსპლუატაციაში მიღებისთვის ვარგისად აღიარებას; გ) სანოტარო ბიუროს საერთო ფართობი, სველი წერტილის გარდა, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მ 2 -ს.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნოტარიუსის მომსახურება ნამდვილად საჭირო იყო ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებისათვის, რადგანაც ეხლა იწყება მუნიციპალიტეტში მიწის რეგისტრაცია, რაც გაამარტივებს მისი კანონთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება № გ-95.95221402. 20.05.2022 წელი).

2. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-952213610-95, 16.05.2022 წელი.) და განმარტა, რომ წარმოდგენმილ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებდა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა

მიმდინარე წლის 25 მაისი, ხოლო სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვრა 27 მაისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება № გ-95.95221401, 20.05.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:20 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**